

განხილულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ოქმი #1 06.09.2018 წელი

ვამტკიცებ სკოლის დირექტორი

/მ. ასათიანი/

## კერძო სკოლა „ალბიონი“

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და

მისი შემდგომი გაუმჯობესების

მექანიზმები

პროექტი

2018-2019 სასწ.წელი

თბილისი

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმს, რაც თავის მხრივ აერთიანებს სკოლაში დასაქმებული პირების, პროცედურების, შეფასების სფეროების, პერიოდულობის და ანგარიშგების შესახებ ინფორმაციას.
2. დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს კერძო სკოლა „ალბიონში“ (შემდეგში - სკოლა) სწავლა-სწავლებლის ხარისხი.

## **მუხლი 2. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა**

1. სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას, ინტერვენციის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენას და ზოგადად, უწყვეტ, გაუმჯობესებისკენ მიმართულ პროცესს.
2. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს გეგმავს და ზედამხედველობას უწევს შეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება შედიოდნენ წარმომადგენლები კათედრებიდან. პროცესში, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება ასევე მონაწილეობდეს სკოლის დირექტორი.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, გამოიყენება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები.

## **მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი**

1. კერძო სკოლა „ალბიონის“ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, მანანა ასათიანი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს განათლების სისტემაში დამკვიდრებული სტანდარტების, საქართველოს კანონმდებლობის, სკოლის წესდების, შინაგანაწესის, ამ წესის და სხვა შიდასაკოლო დოკუმენტაციის გათვალისწინებით.
2. სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია სკოლის დამფუძნებლის წინაშე და ახორციელებს ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებულ უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 4. პროცედურები**

1. სკოლის დირექტორი ყოველი სემესტრის დაწყებამდე ადგენს კვლევის საჭიროებებს (SWOT ანალიზი) და შეიმუშავებს მიმდინარე სემესტრში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას, რომელსაც წაურდგენს სკოლის შეფასების ჯგუფს და სკოლის დამფუძნებელს.

2. გეგმის მოწონების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი, შეფასების ჯგუფთან ერთად უზრუნველყოფს დაგეგმილი კვლევების განხორციელებას.

3. ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, სკოლის დირექტორი, განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას.

#### **მუხლი 5. შესაფასებელი სფეროები**

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასებას ექვემდებარება შემდეგი სფეროები:

ა) დამრიგებლის მუშაობის შეფასება;

ბ) კათედრების მუშაობის შეფასება;

გ) მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოების შეფასება;

დ) სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩინოებები;

ე) რამდენად ეფექტურად გამოიყენებოდა განმავითარებელი შეფასებები;

ვ) მოსწავლეთა მიღწევები ცალკეული საგნების მიხედვით და მისი კორელაცია სხვადასხვა ფაქტორთან;

ზ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი და მათი მიღწევები ( ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირება;

დ) სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობა, შეესაბამებოდა თუ არა ტექნიკური აღჭურვილობა სასწავლო პროცესს და რამდენად უზრუნველყო მიზნის მიღწევა;

ე) მშობელთა ჩართულობა;

ვ) სკოლის უსაფრთხოება;

ი) შემაჯამებელი სამუშაოების შეფასება და ანალიზი;

კ) პედაგოგების შეფასება;

ლ) საგაკვეთილო პროცესის ხარისხი;

მ) სხვა მნიშვნელოვანი სფეროები, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება სწავლების ხარისხს.

#### **მუხლი 6. მონაცემების შეგროვების წყაროები**

სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასება ხორციელდება შემდეგი წყაროებიდან მოპოვებული ანალიზის საფუძველზე:

ა) სკოლის დოკუმენტაცია;

ბ) გეგმიური გამოკითხვები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან;

გ) ჯგუფური დისკუსია;

დ) საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება;

ე) სხვა სახის წყაროები, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე.

### **მუხლი 7. შემჯამებელი ანგარიშის წარმოდგენა**

1. სკოლის დირექტორის გეგმის შესაბამისად განხორციელებული სამუშაო ჯამდება მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მუშავდება რეკომენდაციები, რაც წარედგინება შეფასების ჯგუფს.

2. შემჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას.

3. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მუშავდება მომდევნო წლის სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

### **მუხლი 8. თვითშეფასება**

1. სკოლის რესურსების სრულყოფილად წარმოჩენის, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის მიზნით, სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს ყოველწლიურად თვითშეფასების განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის და საჭიროების შემთხვევაში, სკოლაში სხვადასხვა პროცესზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით/მათგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

2. თვითშეფასების განხორციელების შემდეგ, სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის შევსებას და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენას, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ დადგენილ ვადებში და წესით.

### **მუხლი 9. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ცალკეულ მექანიზმებზე პასუხისმგებელი პირები**

1. სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელება - პასუხისმგებელი, სკოლის დირექტორი, მანანა ასათიანი;

2. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, დისციპლინის მდგომარეობის გაუმჯობესება - პასუხისმგებელი, კათედრის გამგე, თამარ წერეთელი;
3. კლასის დამრიგებლის საქმიანობისა შეფასება - პასუხისმგებელი, კათედრის გამგე, თამარ ქარელი;
4. მოსწავლეთა საგნობრივ ოლიმპიადებში, შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეობის ხარისხის ამაღლება - პასუხისმგებელი, ისტორიის მასწავლებელი, ირინა ჩერქეზიშვილი;
5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ამაღლება - პასუხისმგებელი, კათედრის გამგე, თეა არზიანი;

## **მუხლი 10. სკოლის შიდა ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი**

### **1. მოსწავლეთა სწავლის შედეგების გამოყენება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის**

- მოსწავლეთა შემაჯამებელი შეფასების ანალიზი
- მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამოყენება გაუმჯობესებული შედეგების მისაღწევად.
- წახალისება იმ მოსწავლეებისა, რომელთაც გააუმჯობესეს მიღწეული შედეგი II სემესტრის მონაცემებით.

### **2. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება პედაგოგის საქმიანობის ანალიზისთვის.**

- გაკვეთილზე დასწრება წინასწარ განსაზღვრული კითხვარით, რომელიც ცნობილია პედაგოგისთვის
- გაკვეთილისთვის მომზადებული მასალების გაცნობა-ანალიზი.

### **3. კლასის დამრიგებელთა საქმიანობის ხარისხის ამაღლებისთვის**

- სადამრიგებლო საათის პროგრამის ანალიზი და ცვლილებების შეტანა;
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის პროგრამის განხორციელება;
- ინფორმაციის შეგროვება კითხვარით;
- კლასის დამრიგებლის პორტფოლიოს შექმნა;
- კლასის დამრიგებლის საქმიანობის მონიტორინგის ფორმების შემუშავება;
- საგნობრივი კათედრების მუშაობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხარისხის ამაღლებისთვის;
- საგნობრივი კათედრების დაგეგმვაში ცვლილებების შეტანა, რათა ამაღლდეს კათედრის წევრთა საქმიანობა სქემის მოთხოვნების წარმატებით განხორციელებისთვის;
- საკუთარ გაკვეთილებზე კოლეგების მოწვევისა და მათი გამოხმაურების გამოყენება პროფესიული განვითარებისათვის;

- გაკვეთილის დაგეგმვის (მოკლევადიანი და ყოველდღიური) გაუმჯობესება, სილაბუსების სხვადასხვა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება.

#### 4. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება

- მოსწავლეთა მიერ შემოქმედებითი და შემეცნებითი ღონისძიებების კვირეულის ორგანიზება
- უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაში მოსწავლეებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება.
- სასკოლო ცხოვრებით მოსწავლეთა კმაყოფილება უკმაყოფილების ხარისხის შემოწმება II სემესტრის ბოლოს, მონაცემების ახალ დაგეგმვაში გათვალისწინების მიზნით.
- ექსკურსიების, გასვლითი საგანმანათლებლო სემინარების ორგანიზება
- წამახალისებელი ჯილდოების განაწილება
- განსაკუთრებული წარმატების მქონე მოსწავლეების წახალისება.

#### 5. მოსწავლეთა საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობის ხარისხის ამაღლება.

- მოსწავლეთა სასკოლო საგნობრივი ოლიმპიადის ჩატარება და შედეგების ფაქტობრივი ანალიზი.

#### 6. პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზება და შეფასება

- კათედრებსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხები
- მიმდინარე სასწავლო და სააღმზადებლო საქმიანობის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო და სასკოლო გეგმის მოთხოვნებთან.
- სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის საგნობრივი კათედრების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.
- ესე „მე რომ დირექტორი ვიყო“
- ინტერვიუ საფეხურების მიხედვით „რისი გაუმჯობესების საჭიროებას ვხედავ, რა კუთხით“

#### 7. მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით პროფესიული განვითარების პროგნოზირებული ანალიზი შემდეგი მონაცემებით

- მასწავლებელს აქვს წარმატებული გამოცდილება და შეუძლია გაუზიაროს სხვას;
- მასწავლებელი ხედავს თავის სუსტ მხარეს და მისი დაძლევისთვის მუშაობს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მიხედვით;
- მასწავლებელი ხედავს თავის სუსტ მხარეს და საჭიროებს დახმარებას;

#### 8. წახალისება

- სკოლის დონეზე საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციაში (ნომინაცია და შეფასების რუბრიკა შემუშავდება კათედრების მიერ );
- სკოლის დონეზე საუკეთესო კლასის დამრიგებლის გამოვლენა (შეფასების რუბრიკა შემუშავდება კათედრების მიერ );

- ექსკურსიების ჩატარება;
- სიგელების, ფასიანი საჩუქრების გადაცემა;

### **სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცედურა**

დაგეგმვა ხორციელდება სკოლის მდგომარეობის ანალიზისა და საჭიროებების კვლევის საფუძველზე.

#### **ანალიზის შედეგების გამოხატვის ფორმები:**

- სტატისტიკური და ციფრობრივი მონაცემები
- სკოლის საჭიროებების კვლევის შედეგები
- პროგნოზირება

#### **დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის პრინციპები**

- დაგეგმვის მომზადების პროცესში ჩართვის უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელსაც ეხება ეს დაგეგმვა;
- მონაწილეობა არ არის აუცილებელი და იძულებითი;
- დაგეგმვის განხილვა, მიღებისათვის პოზიციას, მხარდაჭერას გამოხატავს ყველა, მიუხედავად იმისა, იღებდა თუ არა მონაწილეობას მის მომზადებაში;
- დაგეგმვის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება კრიტერიუმების განსაზღვრით პერიოდულად, საჭიროებების მიხედვით და ეს ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ;
- დაგეგმვაში ცვლილებების შეტანა აუცილებლობისა და საჭიროების შემთხვევაში;
- დაგეგმვით გათვალისწინებული საკითხების შესასრულებელი დავალებების განაწილებისას კოლექტივის წევრთა უნარისა და შესაძლებლობების გათვალისწინება;
- დაგეგმვით მიღწეული შედეგების კრიტიკული ანალიზი;